MES 3 22 0000244194

10/03/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 2 მარტს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86453744468?pwd=K1lGMjZhNWpFRmIvUFh0N0VDQ2Uwdz09
Meeting ID: 864 5374 4468
Passcode: 977600

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
მოადგილე;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

სსიპ - კოლეჯი "აისი"
მალხაზ ასლამაზიშვილი - დირექტორი
სსიპ - კოლეჯი "ახალი ტალღა"
ირმა მეგრელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - კოლეჯი "ბლექსი"
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი
სსიპ - კოლეჯი "ერქვანი"
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - კოლეჯი "თეთნულდი"
თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლევან წიქარიძე - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე
სსიპ - „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
მამუკა ჯანჯალია - დირექტორი
სსიპ კასპის კოლეჯი
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - კოლეჯი "ლაკადა"
თამარ მანია - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი
სსიპ - კოლეჯი "მოდუსი"
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - კოლეჯი "მერმისი"
ნონა ღუდუშაური - დირექტორი
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ელისაბედ ებრალიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - კოლეჯი "სპექტრი"

ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე
სსიპ -კოლეჯი „ოპიზარი“
მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანა შარაბიძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მამუკა გოგელია - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"
ნიკა კვიჟაშვილი - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
შპს "თეგეტა აკადემია"
ნონა კარკუზაშვილი - დირექტორის მოადგილე
შპს ინტერბიზნესის აკადემია
ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი
მზეონა ჭილაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის დამხმარე სპეციალისტი
შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
თეა მაისურაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
ალინა კუპრავა - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი"
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
ეკატერინე სირაბიძე და ნინო სამხარაძე - პროგრამების განმახორციელებლები
ა(ა)იპ - კოლეჯი ჰორიზონტი
ნანა ჯოლია - დირექტორი
შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი
თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
შპს ბარაკონი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
შპს არსი
ნათია ნოზაძე - დირექტორი
შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი
მარიკა მიქელაძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
შოთა მარგიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს კეონი აკადემია
ნანა ხითარიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი"
ავთანდილ ჭანკვეტაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "პანაცეა"
დალი კალაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელ
შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი
მანანა ხაბაძე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი
შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი "იმედი"
ქეთევან ჯანელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს ორიენტირი

რამაზ მაჭარაშვილი - დირექტორი
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი
ზვიად არძენაძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
შპს მარნეულის კოლეჯი
ნინო გომელაური - აკადემიური დირექტორი
შპს ცხუმ-ეგრისი
ნონა თაკალანძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA
თეონა კალანდაძე - დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს **ქრისტინა რზგოევა.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. „სამოქალაქო განათლების“ ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების პარამეტრების ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შუამდგომლობა არ დაუყენებია.

1. „სამოქალაქო განათლების“ ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების პარამეტრების ცვლილების საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა.
მან აღნიშნა, რომ 2021 წლის 7 ივნისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №532031 ბრძანებით დამტკიცდა „სამოქალაქო განათლების“ ახალი ზოგადი მოდული.
ამავე ბრძანებით, 2022 წლის 1 ივნისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანების დანართი №107-ის შესაბამისად დამტკიცებული ზოგადი მოდული - „სამოქალაქო განათლება" (სარეგისტრაციო ნომერი - 0110004). ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებს დაევალათ 2022 წლის 1 ივნისამდე მათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა განხორციელებულ ცვლილებებთან.
ბრძანების შესაბამისად, ახალი „სამოქალაქო განათლების“ მოდული 3 კრედიტის მოცულობისაა, რაც ერთი კრედიტით მეტია არსებული (ძველი) მოდულის კრედიტებისგან. აღნიშნული კი იწვევს ყველა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების ცვლილებას, სადაც წარმოდგენილი იყო ორ კრედიტიანი „სამოქალაქო განათლების“ მოდული.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის დებულების 53 - ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, წარმოადგინეს ინფორმაცია და შუამდგომლობები იმის შესახებ, რომ ცენტრის შუამდგომლობით საბჭომ შესაბამის გადაწყვეტილებებში შეიტანოს ცვლილება. ამ ეტაპზე წარმოდგენილია 43 დაწესებულების 166 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმირება. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ეთანხმება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შუამდგომლობას.
სამსახურმა, ერთ ცხრილში თავი მოუყარა ყველა წარმოდგენილ შუამდგომლობას და ერთიან ბაზაში ასახა პროგრამების პარამეტრები, აღნიშნულ ცვლილებებზე საბჭოს მიერ ერთიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ცხრილის პარამეტრები შეთანხმდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სოსტემასთან, რადგან აღნიშნული ცხრილის მიხედვით უნდა შეივსოს 2022 წლის 25 მარტამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ანკეტა-კითხვარები. ასევე, თითოეულ დაწესებულებას ამ ცხრილის ამონარიდები დაეგზავნა და ყველა მათგანისგან სამსახურს აქვს დადასტურება და თანხმობა პარამეტრების სიზუსტის შესახებ.
43 დაწესებულების წარმომადგენლებმა, საბჭოს წინაშე, სათითაოდ დაადასტურეს ერთიან ბაზაში ასახული პარამეტრების შეთანხმება და სიზუსტე. ასევე, დაწესებულებების მხრიდან დაფიქსირდა, რომ განხორციელებული ცვლილებები ასახულია შესაბამის პროგრამებსა და სასწავლო გეგმებში.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სამოქალაქო განათლების“ ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების პარამეტრების ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სამოქალაქო განათლების“ ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების პარამეტრებში, შევიდეს ცვლილებები დანართში მითითებულ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში და პროგრამების პარამეტრები ჩამოყალიბდეს დანართში მოცემული პარამეტრების შესაბამისად:

1. სსიპ - კოლეჯი "აისი"
2. სსიპ - კოლეჯი "ახალი ტალღა"
3. სსიპ - კოლეჯი "ბლექსი"
4. სსიპ - კოლეჯი "ერქვანი"
5. სსიპ - კოლეჯი "თეთნულდი"
6. სსიპ - კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. სსიპ - „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
9. სსიპ კასპის კოლეჯი
10. სსიპ - კოლეჯი "ლაკადა"
11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
12. სსიპ - კოლეჯი "მოდუსი"
13. სსიპ - კოლეჯი "მერმისი"
14. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
15. სსიპ - კოლეჯი "სპექტრი"
16. სსიპ -კოლეჯი „ოპიზარი“
17. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
19. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"
20. შპს "თეგეტა აკადემია"
21. შპს ინტერბიზნესის აკადემია
22. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი
23. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
24. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
25. ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი"
26. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“
27. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
28. ა(ა)იპ - კოლეჯი ჰორიზონტი
29. შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი
30. შპს ბარაკონი
31. შპს არსი
32. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი
33. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
34. შპს კეონი აკადემია

35. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი"
36. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "პანაცეა"
37. შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი
38. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი "იმედი"
39. შპს ორიენტირი
40. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი
41. შპს მარნეულის კოლეჯი
42. შპს ცხუმ-ეგრისი
43. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA **(დანართი).**

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, **14:35** საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა